

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი

20.01.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

აპოლონ სილაგაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარე;

გრიგორ ტატიშვილი - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რ. აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო დომორჯვინიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, სააპელაციო საბჭოს მდივანი;

მარინე ჩიტაშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ლაშა გოცირიძე - უკრაინის ამერიკული უნივერსიტეტის (American University of Ukraine) რექტორი;

გილა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

ნუგზარ სხირტლაძე - შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი;

ნინო ოხანაშვილი - საკონსულტაციო კომპანია „HR ექსპერტის“ მმართველი პარტნიორი;

დავით კახნიაშვილი - ა(ა)იპ არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის თავმჯდომარე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლევან მადათოვი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი, სააპელაციო საბჭოს სამდივნოს წევრი;

ანა ლელაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი, სააპელაციო საბჭოს სამდივნოს წევრი;

ქეთევან ჭუჭულაშვილი - იურიდიული სამსახურის სამართალშემოქმედების სამმართველოს კოორდინატორი, სააპელაციო საბჭოს სამდივნოს წევრი;

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი.

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაცია - აკრედიტაციის საბჭოების კოორდინაციის სპეციალისტი, სააპელაციო საბჭოს სამდივნოს წევრი;

თამარ ხატიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, სააპელაციო საბჭოს სამდივნოს წევრი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წარმომადგენელი:

ნათელა სახოკია - აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

არჩილ სამადაშვილი - საწარმოო ინოვაციების და ოპერაციათა მენეჯმენტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

ალექსანდრე აბესაძე - სადოქტორო პროგრამის თანახელმძღვანელი.

ნინო ხოლუაშვილი - იურისტი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:15 საათზე.

თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“²⁸⁵ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“²⁸⁷ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის განხილვა

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა წარმოდგენილი სახით ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და საჩივართან დაკავშირებულ მასალას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაერთო ოქმისათვის როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სააპელაციო საბჭოს სამდივნოს წევრმა, ლევან მადათოვმა მოკლედ გააცნო დამსწრე საბჭოს სააპელაციო საჩივრის შინაარსი. მან აღნიშნა, რომ 2016 წლის 25 ნოემბერს სააპელაციო საბჭოს წარედგინა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის №70-01-3175/01-38 სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №1415313) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2016 წლის 19 აგვისტოს №105 გადაწყვეტილების მიმართ, კერძოდ, საჩივარი ეხებოდა „ინდუსტრიულ ინოვაციათა მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამისათვის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას, საჩივრით მოთხოვნილი იყო სააპელაციო საბჭოს მიეღო გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსათვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ. სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს და მიიჩნია რომ საჩივარი პასუხობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28^ა მუხლის პირველი და მეორე პუნქტის მოთხოვნებს და წარმოებაში მიიღო სააპელაციო საჩივარი.

სააპელაციო საჩივარში განსაზღვრული იყო რომ აკრედიტაციის საბჭომ ისე უთხრა უარი დაწესებულებას პროგრამის აკრედიტაციაზე, რომ მითითება არ გაუკეთებია აკრედიტაციის არცერთ სტანდარტზე. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა დასკვნა აჩვენებდა, რომ მათი აზრით პროგრამა აკრედიტაციის ყველა სტანდარტს აკმაყოფილებდა, საბჭომ მიიჩნია, რომ დასკვნაში მოცემული შენიშვნები არსებითი ხასიათის იყო. გარდა აღნიშნულისა, დაწესებულებას არ მიეცა საშუალება ზეპირ მოსმენაზე სრულად დაეფიქსირებინა მოსაზრებები გამოთქმულ შენიშვნებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა აკრედიტაციის საბჭოს წარმომადგენელს, ნათელა სახოკიას, წარმოედგინა აკრედიტაციის საბჭოს პოზიცია განსახილველ თემასთან დაკავშირებით.

ნათელა სახოკიამ განმარტა, რომ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, პროგრამას აკრედიტაციის მინიჭებაზე უარი ეთქვა ექსპერტის დასკვნის გათვალისწინებით, რომელმაც საბჭოს სხდომაზე არაერთგზის აღნიშნა, რომ პროგრამას ჰქონდა პრობლემა აკადემიური პერსონალის ნაწილში.

ნათელა სახოკიამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ექსპერტი აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე ცალსახად აფიქსირებდა თავის ეჭვს, წარმოდგენილი აკადემიური პერსონალით აღნიშნული პროგრამის განხორციელების თაობაზე.

გარდა აღნიშნულისა, აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის განმარტებით, წარმოდგენილ პროგრამას ჰქონდა სხვა ხარვეზებიც, მაგალითად, პროგრამაზე ჩარიცხვის წინპირობად ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის არ არსებობასთან მიმართებით. გარდა აღნიშნულისა, აკრედიტაციის საბჭოს წევრის, ლევან გორდეზიანის მიერ ხაზი გაესვა იმ მოსაზრებას, რომ მსგავსი ვიწრო პროფილის სადოქტორო პროგრამის არსებობა არ იყო მიზანშეწონილი და მისთვის აღნიშნული პროგრამისადმი დაწესებულების ინტერესი იყო ბუნდოვანი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები აკრედიტაციის საბჭოს წარმომადგენელთან წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ნუგზარ სხირტლაძემ, იკითხა, იყო თუ არა ბაზარი შესწავლილი წინასაწარ, რაზეც ნათელა სახოვიამ უპასუხა, რომ დაწესებულების განმარტებით, ვინაიდან პროგრამა ცოდნის ექსპორტზე იყო ორიენტირებული, საჭირო არ იყო ბაზრის კვლევა.

საბჭოს თავმჯდომარემ ნათელა სახოვიას ჰკითხა, იყო თუ არა აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია პროგრამის მირითადი პრობლემა, ასევე, გაიზიარა თუ არა საბჭომ ლევან გორდეზიანის მოსაზრება პროგრამის საჭიროებასთან დაკავშირებით და რა პოზიცია წარმოადგინა დაწესებულებამ ჩარიცხვის წინაპირობასთან დაკავშირებით.

ნათელა სახოვიამ უპასუხა, რომ პროგრამის მირითადი პრობლემა ნამდვილად აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის შეუსაბამობა იყო, ამასთან, საბჭომ გაიზიარა ლევან გორდეზიანის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მსგავსი ვიწრო პროფესიონალის სადოქტორო პროგრამის არსებობა არ იყო მიზანშეწონილი. ხოლო რაც შეეხება ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის არ არსებობას პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად, დაწესებულებამ განმარტა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე მაინც ის პირები ჩაირიცხებოდნენ, ვისაც გავლილი ჰქონდათ მაგისტრატურა ინგლისურ ენაზე და მიუხედავად ამისა, აკრედიტაციის საბჭოს შენიშვნა გათვალისწინებული იქნებოდა.


საბჭოზე წევრმა, ნინო ოხანაშვილმა ჰკითხა ნათელა სახოვიას, დაისვა თუ არა აკრედიტაციის საბჭოზე კითხვა, თუ რამდენი პროფესორი იქნებოდა საკმარისი პროგრამის განსახორციელებლად, რაზეც ნათელა სახოვიამ უპასუხა, რომ ყურადღება მიექცა არა პროფესორთა რაოდენობას, არამედ კვალიფიკაციას, ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვეოდა, რომ სამივე პროფესორს მინიჭებული ჰქონდა ტექნიკური მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი და დაწესებულების განმარტებით, მხოლოდ პრაქტიკული გამოცდილება ჰქონდათ მენეჯმენტში.

ნინო ხოლუაშვილმა აღნიშნა, რომ მათთვის არ იყო დასაბუთებული პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის მიზანი, რადგან არსად ყოფილა მითითებული, თუ რომელი სტანდარტი დაირღვა. ამასთან, ერთი და იგივე ფაქტი სხვადასხვა დროს გახდა სხვადასხვა პროგრამებისათვის აკრედიტაციის მინიჭებისა და აკრედიტაციაზე უარის თქმის საფუძველი.

რაც შეეხება საბჭოს შენიშვნას, რომ პროგრამა ვიწრო პროფესიონალისაა, ნინო ხოლუაშვილმა განმარტა, რომ უნივერსიტეტის ავტონომიურობა უფლებას აძლევს მას, მიიღოს გადაწვეტილება პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ არ მომხდარა არც ადგილობრივი, არც უცხო ქვეყნების ბაზრის კვლევა, აღნიშნულ პროგრამაზე არსებობს მოთხოვნა რამდენიმე სტუდენტისგან, მათ შორის, უცხოელი სტუდენტებისაგან (2 სტუდენტი სომხეთიდან).

ნინო ხოლუაშვილის თქმით, აკადემიური პერსონალის რაოდენობა არ შეიძლებოდა პროგრამისათვის აკრედიტაციაზე უარის თქმის საფუძველი გამხდარიყო, მაშინ, როცა ექსპერტმა აკრედიტაციის საბჭოზე განმარტა, რომ პროგრამის განხორციელებას წარმოდგენილი აკადემიური პერსონალით პრობლემა არ შეექმნებოდა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შემდეგი პრეტენზია, რაც დაწესებულებას გააჩნდა აკრედიტაციის საბჭოს მიმართ, იყო ის, რომ აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე მათ არ მიეცათ საკმარისი დრო, რათა გამოეთქვათ მოსაზრებები. დაამატა, რომ სხვა პროგრამების განხილვას თუ დასჭირდა 40 წუთი, აღნიშნულ პროგრამის განსახილველად საბჭომ მხოლოდ 15 წუთი დახარჯა და ეჭვი გამოთქვა, რომ აკრედიტაციის საბჭოს ზოგიერთი წევრი არ იცნობდა განსახილველ საკითხს სათანადოდ.



საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა უნივერსიტეტის საწარმოო ინოვაციების და ოპერაციათა მენეჯმენტის დეპარტამენტის უფროსს, არჩილ სამადაშვილს, რომელიც მიესალმა საბჭოს და აღნიშნა, რომ სააპელაციო საბჭოს არსებობით მნიშვნელოვანი ხარვეზი შეივსო განათლების სისტემაში.

არჩილ სამადაშვილმა განმარტა, რომ გარდა ექსპერტისათვის წარდგენილი 3 პროფესორის გარდა, პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება არაერთი პირი, რომლებმაც კარგ ტექნოლოგიურ ცოდნასთან ერთად, დააგროვეს პრაქტიკული გამოცდილებაც და ეს გამოცდილება უნდა იქნეს გამოყენებული პროგრამისათვის. ამასთან აღსანიშნავია, რომ იგივე პროგრამა ქართულ ენაზე უკვე ხორციელდება.

ნუგზარ სხირტლაძემ დაუსვა კითხვა არჩილ სამადაშვილს, აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით რატომ არ იქნა ჩატარებული ბაზრის კვლევა, რაზეც არჩილ სამადაშვილმა უპასუხა, რომ ბაზრის კვლევა კლასიკური გაგებით ჩატარებული არ ყოფილა, თუმცა პროგრამა მომზადდა ევროპული რეკომენდაციების გათვალისწინებით. არჩილ სამადაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ სავარაუდოდ, პროგრამის საშუალებით დაგროვილ ცოდნას სტუდენტი გამოიყენებს ევროპაში ან ევროპასთან კავშირში.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს რამეს ხომ არ დაამატებდნენ. უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ, საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველო საკმაოდ ჩამორჩება ევროპის ქვეყნებს ცოდნის კომერციალიზაციის კუთხით და კარგია, რომ ამ კუთხით გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები. ამასთან, დაუსვა შეკითხვა უნივერსიტეტის წარმომადგენელს, რითი განსხვავდება განხორციელებული იდენტური ქართულენოვანი პროგრამა ინგლისურენოვანისაგან. დამატებით, აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო ადგილობრივი ბაზრის გამოკვლევა.

არჩილ სამადაშვილმა უპასუხა, რომ პროგრამები ერთმანეთისაგან განსხვავდება საგნებით და დაამატა, რომ კვლევა ჩატარდა ლიტერატურულ დონეზე.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ნამდვილად შესაძლებელი და საჭირო იყო ჩატარებულიყო ბაზრის კვლევა, რადგან იქმნება შთაბეჭდილება, რომ მხოლოდ ორი უცხოელი სტუდენტის გამო შეიქმნა პროგრამა. რეალური პასუხი, თუ რატომ არ მოხდა ბაზრის კვლევა, საბჭომ ვერ მიიღო. გარდა ამისა, საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭომ მოისმინა ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის შესახებ, მაგრამ სამწუხაროდ არც ექსპერტის მიერ ვიზიტის განხორციელებისას და არც აკრედიტაციის საბჭოს მსვლელობისას არ დაფიქსირებულა აღნიშნულის შესახებ.

ნათელა სახოკიამ განმარტა, რომ როცა ვიზიტის განხორციელების ეტაპზე ექსპერტს გააჩნია შენიშვნები დაწესებულების მიმართ, დაწესებულება მყისიერად რეაგირებს ხოლმე და ასწორებს ხარვეზებს შესაძლებლობის ფარგლებში, რაც ამ პროგრამასთან მიმართებით არ მომდარა. ექსპერტმა აკრედიტაციის საბჭოზე აღნიშნა, რომ მან პირველად გაიგო იმის შესახებ, რომ ამ პროგრამაში ჩართული იყო სხვა აკადემიური პერსონალიც.

მარინე ჩიტაშვილმა ჰკითხა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, თუ რატომ არ აღმოფხვრეს ხარვეზი, როცა იცოდნენ ექსპერტის სავარაუდო დასკვნის შინაარსი და აღნიშნა, რომ გარდა ექსპერტის მოთხოვნილი დოკუმენტაციისა, დაწესებულებას ჰქონდა უფლება წარედგინა ნებისმიერი დამატებითი დოკუმენტაცია, რაც დაადასტურებდა პროგრამის გამართულობას.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა პროგრამის შემუშავებაში ჩართული ყოფილიყო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ასეთ შემთხვევაში ამდენი შეცდომა აღარ იქნებოდა. ამასთან, სააპელაციო საბჭოს სამდივნოს წევრს, ლევან მადათოვს, განმარტება პირობით აკრედიტაციასთან დაკავშირებით.

ლევან მადათოვმა, განმარტა, რომ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონმა განსაზღვრა პირობითი აკრედიტაციის ცნება, თუმცა, „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით ჯერ არაა განსაზღვრული აღნიშნული პროცედურა. გარდა აღნიშნულისა, პირობითი აკრედიტაცია გავრცელდება მხოლოდ მოქმედ პროგრამებზე, რაც კანონპროექტის გამარტებით ბარათშიც განსაზღვრულია. შესაბამისად, პირობითი აკრედიტაცია ამ შემთხვევაში არ იქნებოდა რელევანტური.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ნათელა სახოვიას, რათა მას დაეფიქსირებინა აკრედიტაციის საბჭოს პოზიცია დაწესებულების იმ შენიშვნასთან დაკავშირებით, რომ დაწესებულებას არ განემარტა, თუ აკრედიტაციის რომელი სტანდარტი იქნა დარღვეული და ასევე, მიეცა თუ არა დრო დაწესებულებას აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე, გამოეთქვა საკუთარი მოსაზრებები შენიშვნებთან დაკავშირებით.

ნათელა სახოვიამ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე ნამდვილად განემარტა მხარეს, რომელი სტანდარტი იქნა დარღვეული ამასთან, აკრედიტაციის საბჭოს მიმდინარეობისას მხარეს ჰქონდა საშუალება წარმოედგინა მოსაზრებები და შენიშვნები.

საბჭოს წევრმა, მარინე ჩიტაშვილმა განმარტა, რომ აკრედიტაციის საბჭოს პროცედურული საკითხების სისწორის განხილვა არ წარმოადგენდა სააპელაციო საბჭოს კომპეტენციას.

საბჭოს წევრმა, ლაშა გოცირიძემ დაამატა, რომ საბჭოზე საკითხის განხილვა მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება გაგრძელდეს 1 საათი ან 20 წუთი. ასე, რომ განხილვის დროის მიხედვით ვერ გაირკვევა, რამდენად სრულყოფილად მოხდა საკითხის შესწავლა. ამასთან, ჰქითხა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, რამდენად ჰქონდათ პროგრამაში წარმოდგენილ აკადემიურ პერსონალს კომპეტენცია, განხორციელებინათ პროგრამა ინგლისურ ენაზე და ამასთან აღნიშნა, რომ ექპერტებისა და აკრედიტაციის საბჭოსათვის წარდგენილი უნდა ყოფილიყო ამ კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

არჩილ სამადაშვილმა განმარტა, რომ მან ჰქითხა ექსპერტებს, თუ ვინ მიაჩნდათ კომპეტენტურ დარგის სპეციალისტებად და პასუხი ვერ მიიღო და თუ საჭიროა, წარმოადგენს პროგრამის აკადემიური პერსონალის კომპეტენციის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს საკითხი სააპელაციო საბჭოს გადასაწყვეტი არაა და უნივერსიტეტმა თავად უნდა გადაწყვიტოს.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიამვილმა განმარტა, რომ მიუხედავად მისი განსაკუთრებული დამოკიდებულებისა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისადმი, მიაჩნია, რომ ეს პროგრამა არ იყო სრულყოფილი და აკრედიტაციის საბჭომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ექსპერტმა არ უნდა უკარნახოს დაწესებულებას, თუ ვინაა დარგის სპეციალისტი. ეს დაწესებულებამ უნდა უთხრას ექსპერტს და ამასთან წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული აკადემიურ პერსონალთან ვინც მომავალში უნდა ჩაერთოს პროგრამის განხორციელებაში. იმ პროგრამებს, რომლებმაც მიიღო აკრედიტაცია, ეს პრობლემა არ ექნებოდათ.



საბჭოზე გამოცხადდა შესვენება 15:40სთ-ზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 15:50სთ-ზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინდუსტრიულ ინოვაციათა მენეჯმენტის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 9

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28² მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაზიარებულ იქნეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2016 წლის 19 აგვისტოს №105 გადაწყვეტილება სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინდუსტრიულ ინოვაციათა მენეჯმენტის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამისათვის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხის განხილვის შემდეგ, 16:00 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

აპოლონ სილაგაძე

მდივანი

ნინო დობორჯგინიძე